

1946

№ 21-22. 1946 წ.
გამოცემის წელი XXIII.
ფასი 4 მან.

ნიანგი


თბილისი.
გამომცემლობა
"კომუნისტური"

საქართველო
ბიულეტენი



ნახ. ს. და დ. გაბაშვილებისა

ბედნიერი პარსკვლავი დაბადებულნი



შენი ზეიმი კვალად მსურს
სხვა ლხინში განვასხვავო და,
შევაწყვი შენდა სახობოდ
სულ სხვა სიმღერა, სხვა ოდა,
რომ ყოველ პწკარში ისმოდეს
შენი ალამის შრიალი,
ჩვენივის ხიამის მომტანი,
მტრებისთვის—რისხვის ზრიალი
მოშუშულა მძიმე ჭრილობა
დიდ სამამულლო ომისა,
შენი თარიღის მოხვლამდე
ნახტომი გვექონდა ლომისა,
რომ ამ ზეიმზე მოგვეთბრო,
რა გარჯა გვექონდა ყველგანა,
რა აყვავებდა ეღირსა
ჩვენი დიადი ქვეყანა!
რა ხიმტიცევა, რა ძალა,
ხალხის დიდ გაქაწებაში,
როცა ბელადის აზრს აწყობს
თავის მკლავსა და ნებაში
როცა დანარჩენ სამყაროს
კვლავ შრუანტელა სწვევია
რდევვის, შუღლის და კრიზისის—
კაპიტალს როგორც სჩვევია—
ჩვენ დიად ალორძინების
ალამი აგვიწვევა,
სიკეთე გვიშენებია,
ბოროტი დაგვიქცევია!
მტერი გამომჩნდეს?—გავაქცევთ,
ვით წინათ გავაქცევია!

მტერი განა მცირე იყო!
ზღვის ქვიშაზე უფრო მტერი,
ვეშაბივით მოზობდა—
ის სინსილაგასაწვეტის
მოზობლავდა, სახლს გვინგრევდა,
მტაცებელი და ყაჩაღი,
ცას სწვდებოდა, მთებს არყევდა
ციცხლი მისგან განაჩალი.
შენი დროშის დახრა სწადდა,
ჩვენი—მიწით აღგვა სურდა,
რომ დიადი საბჭოეთი
აეკლო და გაეჭურდა!
მაგრამ წახდა ვერაგის ცდა,
„ძევგმა კატას დასწვა ყელი“—
იგი მიწას გავაკართ
პაშტიცივით განაბრყელი!
ვაპენტილი მისი ბურღდა
დღესაც დააქვს ველად ნიავს,
ისტორია დაიხსომებს
მის საბრალლო „წიავ-წიავს“.

ისტორია პირუთენელი
მის მოწმედაც დაგვიდგება,
რომ ვერც ერთი დაბრკოლება
გზაზე წინ ვერ დაგვიდგება,
რადგან ამ გზას ბელადის მზე
გვინათებს და გულს გვინათებს,
ბრძოლაშიაც, შრომაშიც
გმირობისთვის რაზემავს ძალებს!
და ამ გმირულ შეტევაში
როგორც მუღამ, როგორც წინათ,

შენი ცეცხლი გულს ავინთო,
ნაქედებმა ფოლად-რკინად
და აღმდგენელ შრომის ფრონტზე
კვლავ ზეიმი გვერთო წილად
რომ არ მივცეთ ცხვრისქურქიან
მგლებს ქვეყანა დასაცინად.


ახალ სტალინურ ხუაწლედის
შუქი ჩამდგარა გულშია:
სულ სხვა ძალუმი რიტმია
სიტყვაში ახე თქმულშია,
სულ სხვა მაღლი და ძალა
დაზგების ახალ წყებაში
და გვსურს, რომ სული იწვოდეს
ახალ თავდაფიწყებაში,
რომ ქარხნის ბოლმა მილიდან
ცას კალთა შეუმურთა,
რომ გმირულ შრომის გუგუნში
ურო მისძანდეს უროსა,
რომ ორთქლმავალმა მოგლეჯილ
მთათა საუნჯე წაიღოს,
და პრაპედერის ზუზუნით
ცათა ლაუვარდი გაიღოს,
ყამირს ფოლადი ღრმად ჩახწვდეს,
ზღვას დაეტოლონ ხნულები,
დახვადეს ოქროს ზოდებად
ქვეყნის ბარაქა უღევი,
და ამ ზეიმში გვიძლოდეს
შენი ალამი რჩეული
და ბრძენ ბელადის სახელი
უკვდავ სიმღერად ქცეული.

შარსალანი

მ ო თ ხ ო ვ ნ ა

„კაპიტალისტურ ქვეყნებში ომიდან მშვიდობიან დროზე გადასვლამ გამოიწ-
ვია ბაზრის მკვეთრი შეკვეცა, წარმოების დონის დაცემა, საწარმოთა დახურვა,
უმუშევრობის ზრდა.“
ამხ. ა. ა. შდანოვის მოხსენებიდან მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6
ნოემბრის სახეიშო სხდომაზე.

ნახ. დონისა




1. ჩვენში



2. უცხოეთში

მტრის ზურგში



თეთრი სანიშნოები

1943 წლის ზაფხულში ჩვენი პარტიზანულ რაზმი, საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ მაიორ ს. ა. კოვბაკის მეთაურობით, ტრის ღრმა ზურგში კარპატებისაკენ მიივლიდა. სუფოროვი ამბობდა, გააკვირვებ—მაშასადამეობებო,—და ჩვენც ყოველთვის ვცდილობთ მოულოდნელი დარტყმით მოწინააღმდეგე გვეკვირვებინა. მდინარე ლომნიცასთან ცარმა დარტყმამ მტერი იძულებული ხადა მოექურცხლა.

კარპატის სიმაღლეებისაკენ დავიძარი. თველ რასულენსთან გამაგრებული იყო სს-თა პოლკი, რომელიც ორი დღის შემდეგ ორდა ჩვენს იქ მისვლას, მაგრამ ჩვენ ორი დღით დავასწარით. გერმანელთა გუშაგები ნმა მზვერავებმა უხმაუროდ გაისტუმრეს უსაველეთს.

— სოფელში შეიჭერ და ეცადე ისეთი აბეჭდილება შექმნა, თითქოს დიდი ჯარი ივდეს, ჰიტლერელები ჩრდილო-აღმოსავ-თის მიმართულებით გამორეკე. ამისათვის დევ გაძლევ ორ ასეულს,—მიბრძანა კოვ-ბაკმა.

— გასაგებია, ყველაფერი შესრულებული ნება,—ფუპასუხე.

სრული გარემოცვის შთაბეჭდილების შე-ქმნელად ბატალიონის მეთაურს მათიუშენ-ს დაევალა ფლანგებიდან შემოველო გერმა-ლებისათვის. მტრის გარნიზონი სროლამ ოალიედა. აღმოდებულმა გერმანელთა სა-კმა ავტომანქანამ ნათელი სურათი დაგვა-ვა: გერმანელები თეთრეულის ამარა გარ-დნენ. პარტიზანთა არცერთი ტყვია უქმად დახარჯულა. თეთრი სანიშნოები უსულოდ ემოდნენ ძირს.

მტრის მთელი გარნიზონი განადგურებულ და...

„რაინდი“ საწოდქვეშ

ჩვენთვის ხელსაყრელი ამინდი იყო: პირქუ-ლამე, კოკისპირული წვიმა.

გერმანელთა სამსართულიანი სახლის ქვე-ორი სართული ჩვენებმა ელვის სისწრა-თ უხმაუროდ დაიკავეს. მესამე სართულში


მტრის პოლკის შტაბი იყო მოთავსებული. კარებში ხელყუმბარა შევაგდე და აფეთქების შემდეგ ოთახში შევედი. სკამზე პოლკოვნიკის ტანსაცმელი შევნიშნე. ლოგინმა ეჭვი აღმიძ-რა. გავსინჯე—თბილი იყო. კარადს მივატყუ-დი:—აქ ვიდაც არის,—გავიფიქრე და ავტო-მატის ჯერით კარადის კარები დავცხრილე.

უეცრად საწოლის ქვევიდან ჩემსკენ რევოლ-ვერი ამოიძარდა.

— აქაც თეთრი სანიშნე.—გამიელვა თავ-ში და საცვლების ამარა გერმანელ „რაინდს“ ავტომატის ჯერმა „შტაუერის“ სისტემის რე-ვოლვერი ხელიდან გააგდებინა.

დაუმთავრებელი სიმღერა

დასავლეთ უკრაინაში ქ. სტანისლავში, მტრის ძალების გამორკვევის მიზნით მზვე-



რავები გავგზავნეთ. დაზვერვაში შედიოდა ქართველი პარტიზანი ი. ჟორჟოლიანიც.

ქალაქში მიპარვით ჩასვლის შემდეგ ჩვენ-ბი პატრონის შეუმჩნევლად ერთ-ერთი სახ-ლის ქვეში მოთავსდნენ. რამდენიმე ხნის შემ-დეგ ადგილობრივი მოსახლეობისათვის წანა-ღეჯი ნივთებით და პროდუქტებით დატვირ-თული გერმანელები მოვიდნენ ამ სახლში და ქეიფი გააჩადეს.

— არამზადები... ქეიფობენ...

— ცეკვავენ...

— მღერიან,—ბრაზით იღრჩობოდნენ ჩვე-ნი ბიჭები.

— მაგათ ბანი აკლიათ, ბანი. თუ სიმღე-

რა დავამთავრებინეთ, რალა ბიჭები ვართ,— ჩაიჩურჩულა ქართველმა და „ბანისმიმცემი“ ხელყუმბარა ჰაერში შემართა. უხმაუროდ დაეშვნენ დაბლა. ვალეშილი გერმანელები შუა სიმღერაში იყვნენ, როცა ჩვენმა მზვერავებმა კარები შეაღეს.

— ხელები მაღლა!—შესძახეს მათ.

პირდაღებული მოქეიფენი გაშეშდნენ, სიმ-ღერა დაუმთავრებელი დარჩათ. ასევე პირ დაღებულნი მოიყვანეს ისინი ჩვენს შტაბში.

გერმანელთა „სადამსჯელო დივიზიის“ ოფიცრები და ჯარისკაცები დასჯილ იქნენ.

საიდუმლო გოგრა

შემოდგომის ბნელი ღამე იყო. მდინარე სანზე (პოლონეთი) გერმანელ გუშაგთა უხმოდ მოხსნის შემდეგ ხიდი ავაფეთქეთ. ახლო მდებ-არე ბალიდან მოტანილი გოგრა ჯოხზე ჩა-მოვაცვით, ეს ჯოხი აფეთქებული ხიდის თავ-თან ჩავარქეთ და უკუნეთ ღამეში აფეთქების ადგილს 15 კილომეტრით გავშორდით.

მეორე დღეს შედეგის გასაგებად გავზავ-ნილმა მზვერავებმა შემდეგი გამოარკვეეს: გერმანელთა ზარალის გამომკვლევი კომისია ამ „არაჩვეულებრივი ყალიბის ყუმბარას“, ანუ საიდუმლო გოგრას ახლოს ვერ მიეკარა და უკან გაბრუნდა. შემდეგ კი ხმა გაავრცელეს „რუსების ახალი ფეთქებადი იარაღის“ შესა-ხებ.

რამდენიმე კვირის შემდეგ იმ აფეთქებული ხიდის მახლობელ სოფელში გავიარეთ. ადგი-ლობრივი მოსახლეობის ვადმოცემით, ქალაქ ლიუბლინიდან და ვარშავიდან „ახალი ტიპის ყუმბარის“ შესამოწმებლად მოწვეულ იქნა სპეციალური მეორე კომისია, რომელმაც დი-დი გაჭირვებით და შიშით მოახერხა საიდუმ-ლო გოგრის „შემადგენელი ნივთიერების“ გამოარკვევა.

გერმანელთა პირველი კომისიის წევრები დაპატიმრებულ იქნენ მეორე კომისიის მიერ. რამდენიმე თვის განმავლობაში მტრისათ-ვის მეტად საჭირო ხიდი აღუდგენელი იყო.

დ. ბაჭრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი



- დღეს ნულარაფერს მომთხოვ, პოლდი, დიდი ხარჯი მომივიდა, გაზეთი ვიყიდე.
- გაზეთი ხომ რამდენიმე გროში ღირს!
- არა, მეწასი ათასი დოლარი დამიჯდა, მთელი რედაქცია ვიყიდე.



საბჭოთა კომუნისტური საქართველო

მერტმა კი აპატოს და აღან შტერი რტ-
დამეთერთმეტე წელში იყო, როცა ეს არასასიკეთო
ამბავი გადახდა.

უკანასკნელ ზანს შტერის სტატეგმა ახალი ომის
გარდუვლობის შესახებ ბუქი ააყენეს გაზეთის ფურც-
ლებზე. იმ დილასაც ელოდებოდნენ რედაქციაში შტე-
რის ახალ წერილს თემაზე: „ატომი და ჩვენი უპირა-
ტესობანი“, მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა.

დღის სრულ თორმეტ საათსა და ცამეტ წუთზე
რედაქციის შიკრიკმა ახალი ამბავი შემოიტანა ქუჩი-
დან: „გამოდით ერთი, ნახეთ აღან შტერი რა დღე-
შიაო“.

რედაქციის მუშაკები გარეთ გავიდნენ და რას
ხედავენ: შტერს ხელში შურდული უჭირავს, ჯიბიდან
კენჭებს იშველიებს, უმოწყალოდ ამტვრევს სარკმლის
მინებს და გაიძახის:

— ჭახ!.. ჭახ!.. ჭახ!.. ომია, ომი!..
თანამოსაქმეებმა, რასაკვირველია, იმ წუთში შეამ-
ჩინეს, რომ აღანის გოგრაში ეშმაკი იყო დაბუდებუ-
ლი და იმის შემდეგ, რაც ავადმყოფმა ავტომანქანის
ორი მინის ჩამტვრევა მოასწრო, აღანი ფსიქიატრიულ
საავადმყოფოს მიაყენეს.

ექიმებმა გულსხმიერად შეამოწმეს შეგაზრდელ
ბურჯულის შვილი აღან შტერი და, ვინაიდან მისი ავად-
მყოფობა იშვიათ რამედ არ ჩათვალეს, წყნართა პა-
ლატაში მოათავსეს.

საავადმყოფოში აღან შტერის პირველ სამ თვეს
ყოფნაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან წყნარად იჯდა
და ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მამამისის შესა-
ხებ კი გადმოიტყეს, რომ ყოველდღე მოდიოდა თურმე
საავადმყოფოში. მაგრამ შვილს არ აჩვენებდნენ, ისე
აშოშმინებდნენ: „არა უშავსრაო“.

სამი თვის შემდეგ, რაკი შეატყეს, რომ აღანი
განსაკუთრებულს არაფერს სჩადიოდა, ექიმებმა შინ
გასაშვებად მოამზადეს და ჰკითხეს:

— აბა, ბატონო აღან, ჩვენ გადავწყვიტეთ გაგიშ-
ვით საავადმყოფოდან. რას იზამთ შინ რომ მიხვალთ?
— რას ვიზამ? — გაიცინა შტერმა — რა უნდა ვქნა, ჩემს
შურდულს მოვებნი და მინებს ჩავამტვრევ... ჭახ!..
ჭახ!.. ჭახ!.. ომია, ომი.

ექიმებს ძალიან ეწყინათ, შრომამ ფუქად რომ
ჩაუარათ, მაგრამ რას იზამდნენ, ავადმყოფი მღვლეა-
რებში მოათავსეს და მამამისის თხოვნით პროფესო-
რი მიუჩინეს.

გამოცდილი ფსიქიატრი ყოველდღე თავს დასტრია-
ლებდა შტერს, ათასგვარ სამკურნალო ხერხს ხმარობ-
და, მაგრამ არ იქნა საბედისწერო შურდული შტერის
თავიდან არ ამოვიდა.

ერთ დღეს პროფესორმა პალატაში ავადმყოფის
შურდული შემოიტანა, აღანს მოუხმო და მიმართა:

— შტერ, შეხედე, შენი შურდული აღარ არის! —
და შურდული ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

აღან შტერი სიბრზისაგან კინაღამ ხელმეორედ
გაგიჟდა, მაგრამ რას იზამდა, ბედს დაემორჩილა.

ანის შემდეგ პროფესორი ყოველდღე ოთხსაა-
ნის საუბარს ატარებდა შტერთან, უამბობდა, თუ
რა კარგია ცოლის თხოვა (შტერი უცოლო გახლდათ),
თჯახი, აგარაკზე წასვლა, დასვენება და სხვა ასეთები.
ავადმყოფი ეგუებოდა პროფესორის კეთილ სურ-
ვილებს და შურდულზე აღარაფერი წამოსცდენია.

ხუთი თვის შემდეგ, რაკი პროფესორი დარწმუნ-
და, რომ საბედისწერო შურდული სამუდამოდ ამო-
ვარდა შტერის თავიდან, გადასწყვიტა ავადმყოფი შინ
გაეშვა და ამ მიზეზის გამო შტერის მამა დაიბარა.

— ვითომ მართლა დაჰკვიანდა? — იკითხა აღტა-
ცებულმა მამამ და პროფესორისათვის საჩუქარი გაამ-
ხადა.

— სრულიად ჯანსაღადაა, — კმაყოფილებით გა-
ნაცხადა პროფესორმა. — თუ გნებავთ, კიდევ გამოვც-
დი.

— ძალიან დაგიმადლებთ, — მიუგო მამამ და ყო-
ველგვარი მოულოდნელი შემთხვევისათვის მკურნალი-

ნახ. ღონის



— ბნო რედაქტორო! მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში მეოთხე გვერდზე ინ-
ფორმაციაში ნახსენებია სიტყვა „შტატების გახერვა“.

— რა თქმა უნდა, „შეერთებულ შტატებზე“ ლაპარაკი. შეაჩერეთ
გაზეთის ბეჭდვა და რამდენიმე გვერდი დაუთმეთ წინასწარ გამზადებულ
ანტისაბჭოთა კრიტიკას.

სათვის გამზადებული ჯილდო კვლავ ჯიბეში ჩაიღო.
პროფესორმა აღანს დაუძახა და ჰკითხა:

— ძვირფასო აღან! ჩვენ გადავწყვიტეთ გაგიშ-
ვით მამასთან. რას იზამთ, შინ რომ მიხვალთ?

— რა უნდა ვქნა? — წყნარად მიუგო აღან შტერ-
მა, — შინ მისვლისთანავე ცოლს ვითხოვ.

— ყოჩაღ! — აღტაცებით მიუგო პროფესორმა. —
შემდეგ? შემდეგ რას იზამთ?

— შემდეგ ჩემ ცოლს მანქანაში ჩავსვამ და აგა-
რაკის გზას გავუდგები.

— შესანიშნავია! — წამოიძახა პროფესორმა და
მამას ხელია ჩამორთმევით მიულოცა შვილის მორჩენა.

— შემდეგ? შემდეგ რას იზამთ, ბატონო აღან?
— განაგრძო პროფესორმა.

— შემდეგ რა უნდა ვქნა? — კვლავ ალაპარაკდა
აღან შტერი. — შემდეგ აგარაკის გზაზე მდებარე პირ-
ველ ხიდთან რომ მოსახვევია, ხომ იცით?

— დიახ...

— იმ მოსახვევთან შარშანდელივით უსათუოდ
დაეშევა მანქანის თვალი.

— მერე?

— მერე მანქანიდან გადმოვალ და თვალს მოვხს-
ნი.

— მერე?

— მერე თვალს სალტეს გადავადრობ.

— მერე?

— მერე სალტიდან გამოვიღებ რეზინის კამერას,
მაკრატლით დავჭრი, შურდულს გავაკეთებ და ჭახ!..
ჭახ!.. ჭახ!.. ომია, ომი!

პროფესორს ძალიან გაუკვირდა აღანის უკან,
შურდულისაკენ დაბრუნება, მაგრამ მე თქვენთან
ერთად მხოლოდ ის მიკვირს, რომ საგიჟეთში ამ სა-
ხის ავადმყოფთაგან მართლ აღან შტერია მოთავსე-
ბული.

უცნაური ქურდი

(ნამდვილი ამბავი)

ეს იყო თვითმპყრობელობის დროს...
ბათუმის ნავსადგურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. იქ, სადაც ამჟამად შეჭურვა, ნავთის საწყობი იყო. საწყობს გარს ერტყა მაღალი ლობიო რომელსაც ხეშოთ ეკლავი მავთული ჰქონდა შევსებული.
საწყობის დარაჯმა მოხუცმა მიხეილ ბარამიძემ დილით შენიშნა: საწყობის ეზოდან ნავთით სავსე ორი კასრი უკვალოდ გამქრალაყო. შემოვლოვებული მიხეილი საწყობის გარშემო კასრების კვალს აწაოვ ეძებდა. დადარდიანდა მოხუცი. უფროსის წინაშე თავი რათ გაიმართლათ? ისე დაბერდა, მისთვის შენიშვნა არავის მიუტია. ახლა კი თავი მოეჭრა.
დილის ათი საათი რომ შეიქნა, მიხეილის შემოვლილი ნიკიტა სარიოვი გამოცხადდა. მიხეილმა შესჩაგლა, ორი კასრი მიწაზე დასვა. ნიკიტამ გაცხებით შეხედა.

- კიშკარი გააღეს?
- არა.
- ლობიო მთელია?
- მთელია.
- თითო კასრი ათ ფუტს იწონის. ვთქვათ, ურჩით წაიღეს, მაგრამ კასრი ეზოდან ხომ უნდა გაეტანათ? თუ კიშკარი არ გაუღიათ, არც ლობიო გაშუქვრებიან, როგორღა წაიღეს?
- წაიღეს.—ამითობრა მიხეილმა.—შენ ისა სთქვი, კვალაც არა ჩანს. მიხეილმა და ნიკიტამ საწყობს დიდხანს უტრიალეს—ეგებ ურჩის კვალს მივაგნოთ.
- საწყობს ვერ ჩავიბარებ,—განაცხადა ნიკიტამ,—ორი კასრი რომ დაიკარგა, ათისთავს უნდა ვაცნობოთ.
- წაიღე... აცნობე.
- ლობიო გაბერილობა უფროსმა ათისთავსა ლადო კვალეშვილმა საწყობის ეზო დაკვირვებით დათვალიერა. განრისხდა.
- ვერაფერი გამიგია...—სთქვა, ქერა, გრძელ უღუაშხე ხელი გადაისვა. ნავსადგურის მშენებლობის უფროსმა ვიარესლავ მოროზოვმა მიხეილი იმ დღესვე მოხსნა სამუშაოდან.

ნიკიტა დამით მორიგეობდა, ფრთხილბოდა. ძლიერი ზღვაური ქროდა. თუ ნუქის სახურავზე წვიმა შხაუნდებოდა.
დილით ეღდა ვცა ნიკიტას, სამოცი კასრის ნაცვლად ორმოცდაათწამეტა აღმოჩნდა. თმა ყალბზე დაუდგა. ანგარანისკენ გაიქცა.
— საწყობი რატომ მიგიტოვებია?—გაუწყრა მშენებლობის უფროსი.
ნიკიტას კაცის ფერი არ ეღდა, მთელი ტანით ცახცახებდა.
— ბატონო უფროსო, იმ კასრების საფასურს როგორმე გადავიხდი, მაგრამ იქ მუშაობა აღარ შემიძლია.
— რაშია საქმე?
— ლამაზობით ბოროტი სულელები მოდიან საწყობში და კასრებს იბარავენ. მოროზოვს ცბიერად გაეღიმა.
— ახლავე დაბრუნდი. შენი ცვლა რომ მოვა, მერე მოვილაპარაკოთ. ლობიო შემოანგრის, თუ კიშკარი გატეხეს?

- არც ლობიო შემოანგრის და არც კიშკარი გაუტეხიათ.
- რას მიჭკარავ... ათფუთიანი კასრი ბამბა ხომ არ არის, რომ ასწიო ლობის იქით გადაისროლო...
- მიწაზე კასრის კვალი არ ჩანს, ბატონო,—შესაბარალისად დაგდაგებ ნიკიტა და თვალებს უმწვოდ ახამხამებდა.

მოროზოვმა გადასწყვიტა ღამე საწყობში დაეყო, კასრების ქურდების და ქერაში თვითონ მიეღო მონაწილეობა.
მოროზოვი და უფროსი ათისთავი, ვაჟკაცობით სახელგანთქმული კიკალაშვილი საწყობის დარაჯის ხუნულაში ღვინოს სვამდნენ და ჩუმად საუბრობდნენ.
— რას იტყვი ლადო, იმ კასრებს ვან მოიპარედა? მიხეილი და ნიკიტა პასუხისგებაში უნდა მივიცი.
ათისთავმა ტრახს დაუწია, პაპიროსი გააბოლა.
— ვერ წარმომიდგენია მიხეილისა და ნიკიტას მოპარული იყოს... თუ სად გაქრა ნავთი? ქურდი თუ ხელში ჩამივარდა, იცოცხლე. ვანანებ...
— ყველაზე სანტიგროსო კი ის არის, რომ კვალს ვერ მივაგნეთ.
— მოროზოვი ჩაფიქრდა, მერე ლადოს მუხლზე ხელი დაჭრა და წამოიხარა.
— ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია.
— ლადო ცნობისპყვარეობით მიაჩრდა.
— აი, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო ლადო, როგორ მოიქცენ ნიკიტა და მიხეილი აბა, ყურადღებ: ვერ პატარა ჭურჭლებით ზიდავდნენ აქედან ნავთს, მოროზოვი კასრები წაიღეს. ამიტომ არ დაუტოვებიათ კვალი.
— აქ საუბარში შემოათენდათ. ნიკიტაც მოკვდა. შეხარხოვებულმა მოროზოვმა დამცინავი ღიმილით ნიკიტას მიმართა:
— ბოროტ სულელებს ექვსი კასრი გაუტეხებიათ.
ნიკიტამ ჭალარა თავი დახარა.
მოროზოვმა დანიხა ლადო კასრებს ითვლიდა. უფროსს სახე მოედუნა.
— მე და შენ ხომ არ მოვარაგვართ, რა საქაროა დაფულა?
— დარაჯს უნდა გადავებარო.

ლადო უცებ გამოფიქრდა, ერთხანს მოროზოვს უახლოდ შეჭურებდა და დას ეუტირებდა...—ჩაიბურტყუნა, თვალები აემღვრა.
— რამ გაგაბრაზა, ჩემო ლადო?
— ოთხი კასრი გვაკლია.
— შეუძლებელია...—აენთო მოროზოვი.
— თუ არ გჯერათ, დაითვალეთ.
— ერთი, ორი, სამი...—ითვლიდა მოროზოვი და წარბებს მრისხანედ ამოკრებდა. მერე გავაგნებულმა შუბლზე ხელი მოისვა.
— მართლაც სასწაულია... ამაღამ კვლავ ვიმორიგეთ, ლადო.
შეღამდა თუ არა, ლადო და მოროზოვი კასრებში ჩასხდნენ და გაინახნენ შუალამისას უხარზარო ლანდა უხმოვად გამიფრინდა ლობიო.
მოროზოვს შეაჯროლა, რეველიერო ჯიბეში ჩაუღო ლადოს.
— ჩემიც გქონდეს შემინია. ნიკიტა მართალი ყოფილა. ჩვენსკენ მოემართა.

— ჩაიფუქუნა, ლადოს ზურგს ამოეფარა, მზრებლები დაადო. ლადო გრძობდა, როგორც კასრებს შიშისაგან მოროზოვი.
ლანდმა ორი კასრი მსუბუქად წაიღო. ლობიოს შესდგა, კასრები ლობის იქით ნელა დაუშვა. ლანდმა გაეკიდა, რეველიერის ლულა მიუშვირა:

- შესდგე!
- ლანდი გაქვავდა.
- ლადომ ასანთი აანთო.
- პირხმელი, ეგება, ნაბდინი ახალგაზრდა მშვიდად გამოიყურებოდა.
- სად მიგაქვს ნავთი?—ლადოს არ შეშინებ მაგრამ რატომღაც მუხლზე და მკლავებში ლანდს წაერთვა, სუნთქვაც გაუხშირდა.
- მეფის ქონებას ქვრივ-ობრებს ვუნაწილებ სრულიად წყნარად მიუგო. ლანდი თვალს ადგენდა ათისთავის ყოველ მოძრაობას.
- ლადომ იცნო.
- შენ ხომ მოქიდავე ხარ?
- დიან.
- ლადომ კიშკარი გააღო.
- ასწიე კასრები და გაიარე, ნესტორ.
- ლადო გაცოცდა. „ნავთით სავსე ორი კასრი კითხვით ბუმბულით გამოტენილი მუთაქები მიჭედეს“—ფიქრობდა.
- დაიცა!—უკნიდან შეესმა ნაბდიანს. მოქიდა შეჩერდა.
- ლადო ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა.
- ალალი იყოს შენზე ეს ნავთი, მაგრამ მე არ გაბედო აქ მოსვლა, —ალერსიანად უთხრა ჰკითხა: ღვინოს ფული გაქვს?
- ორი დღეა არ მიქეფენია, ქესატად ვარ. ლადომ უბეში ათთუმინიანი ჩაუღო.

მალაროსთან

ნახ. ა. კანდელაკისა
კიათურის მარგანცის ტრესტმა ოქტომბრის თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.



- კოტემ თავისი კანდელაკის ყველა თვეებს ოქტომბერი დააწერა.
- რატომ?
- მომავალშიც ჩემთვის ყველა თვე ოქტომბერი იქნებაო.



ნამდვილად საკომუნო კანტორა

ბოლნისის ედნათუარები

როცა ბოლნისში ჩავდივარ
ერთ პასუხს ვენატრულები:
ნეტავი რისთვის ჰკიდიოა
ქუჩებში ელნათურები?!

ჯანდაბას, ქუჩის ელნათურს
დიდად წუ დაემდურები,
მაგრამ სახლებში, სახლებში
რას გვანან ელნათურები!

სახლებში ყველა მათგანი
ქანცილიეული წვალეებით
იმდენს ანათებს, რამდენსაც
ლამეში კატის თვალეები.

ვერც ვერავისთან მისულხარ,
ვერც ვერვინ მოგიყვანია;
კაცო, ომი ხომ ნამდვილად
გათავდა დიდიხანა!

ხომ ყველგან ლალად განათდა
ლამპარი ჰერზე მიბმული,
მაშ რატომ არის ბოლნისი
აქამდე შუქშენილბული?

იქნებ მას თავის წესი აქვს,
ან მოსაზრება სხვადასხვა,
თორემ მას საფრთხე არ ელის,
არც ჰაერიდან თავდასხმა.

ესე ამბავი ესეა:
ბოლნისში ერთი „ჰესია“,
იმისი გამგის წერეები
რკინაზე უკეთესია,

ისე მუშაობს ამდენხანს,
ერთი არ დაუკენესია,
მაგრამ როდესაც მის საქმეს,
როგორც რიგი და წესია,

ან აღმასკომი გასინჯავს,
ან რაისაბჰოს სესია,
მაშინ რას იზამს ყმაწვილი
პეტრე ჰქვიან თუ ბესია.

გამგლელო

პიეტ ვირგე ქუჩის მხარეს დახატულია 60 წლისაღის შერეულების გამო.

ელისაბედ ჩერქოვილის სახელი მოღვაწეობს 60 წლისაღი შერეულად.



— აა, თ რამოდენა გზა გავივლივთა!

გ. ქუჩის მხარეს იუბილეს

დავხვად დანსდენე საქმეზე ამაყად სახეშიანნი ერთოვნი და ორგანი, აქა-იქ ავიდა საშუალო აუბილესნი.

მედიანნი და მგონიანი რა თვალმა დაიხილეს... გეგმა თუ შეიქმნა გიორგიმ მუხი კილაში დალოცა.

და როცა ერთმა მგონიანმა ძველი თბილისის კლდეში პირქმინდათ ჩამოავლითა რას სწუხები, რასა სტიროდი,

თან დღემდა: ჩვენ ორმა შეგვედრეთო რამელი, შეირბა ერთი გიორგი — სულმუდამ თავში გავიშვით.

ტბილისში, მდინარე გამოხლას ჩემი კალმით ასწერა... ფიცხი სახელი მართლად ქალი წარმოადგინეს.

— დღეს რა გეგმა თვალმა, სად იმყოფი, რა ფასად! — ატყდა ჩემსი ქალების, ტაში დიქსე კახას.

და რაზე მზავდნენ ორგანი ერთი ნაქმრისათვის: ვაჰ, ბეჭეტივსა სტოპკა, ავიდა კილა მგონიანი.

გიორგის მზა მუხის რომ შენახვდეს ვინ არი? წინას სვეტიცხოველად დაიღვტ გვირგვინი უხილავს,

მაგრამ რად გინდა, როდესაც ბედია არა ვაქვს შეიღობა, ზოგმა იძულება და ზოგსაც რაე უჩვენებია ღვინობა...

გუნდი ქვირთვი მგონიანი, საღამოს მოვიქცენო გულითადს, ამა, ნიანგის სურვილიც შეიტკეპე სიყვარულითა:

მუდამ გრგვიანდეს ეს ჩაგვი ცეცხლოვამ ლექსით ქმული, უღმერთი დღე-ღამეობის მზიანი ველსეულებითა.

წლები სამოციერ სამოცი მუხმტკიცედ ვადავლავთ, დალოდი, დაბრუნდები ჩვენს თვალს ავიღებ ენათა.

დღეს მისი მინდა ჩავიცვა უაჩივლით, შარასა, მინდა ფრონებს ვამსახურო ჩანებითა და გულაშეცა...



გ. შიპუკაძე.



გალის სამკითხველს ფანჯრები ჩამტვრეული აქვს.

გალელი

ნახ. ღონისა



— საშინელია ეს ქვენა ქარი.
— რომელი ქვენა, ზენა ქარი ჰქრის ვერა ხედავ — გაზეთები
სამხრეთის ფანჯრიდან ცვივა?

— ბავშვებო, რა იყინება ნოლ გრადუსზე?
— ხელები, ფეხები, ცხვირი, მასწავლებელი.

მგზავრის ღლიუგირან

„თბილის-სტალინის“ გავყევი,
დინჯად ვტოვებდი გზას,
და სტალინის ჩასვლისას
ვეძებდი რძალს და ძმას,
მაგრამ ბნელაში რძლის ნაცვლად
გადავეხვიე სხვას.
სადგურის უკან გასვლისას
წავაწყდი ლაფის ზღვას,
ქალაქში ველარ წავედი
კალოშს ვეძებდი ცალს.
ვერაფერს ველარ ვხედავდი,
ვუჯავრდებოდი თვალს.
ხელები მივაფათურე,
აზრით გავყევი კვალს.
კალოშის ნაცვლად ხელები
მოხვდა რალაცა შავს,

ტალახში ღორი წოლილა,
მკრავდა დინგსა და თავს,
ტალახში ვადამისროლა,
ჩავეყვ ტალახის ზღვას...
აღარ ვეძებდი ცალ კალოშს
არც ძმას და აღარც რძალს,
აქეთ სიბნელეს ვებრძოდი,
იქით ღორსა და ქარს;
ველარ წავედი ქალაქში
და ველარც შევხვდი ძმას.
წამოვიწიე, წავიქეცე,
თავი მივარტყი ქვას,
ისევ უკანვე გავბრუნდი
წითურა ვგავდი შავს,
ნაკლი რაც დამრჩა სათქმელი,
დე აღმასკომმა სთქვას!

შეგდა არ უნდა ჰგონია...
(გავაზი, ყვარლის რაიონი)
ჩვენს საფუტკრეში, ნიანგო,
რომ არ მოგწერო ტყუილი—
ისე ურომობენ ფუტკრები,
ლამეც კი გააქვთ ბზუილი.
მიხაილოვსა, (მეფუტკრეს),
კვიმატი აზრი ჰქონია:
ასე რომ ილწვის ფუტკარი—
მოვლა არ უნდა, ჰგონია.
მოუველელობით ფუტკრები
ილუბებიან, კვდებიან,
ისე სტოვებენ საფუტკრეს
„მომვლელს“ არ ეკითხებიან.

წამოიწია, მეძგერა
ვიფიქრე: ვილაც მკლავს.

კ. გელათელი

ალადელი

ნახ. ა. კანდელაკისა



— რა ჰქენი, მამაჩემო, აკი დამპირდი არაყს ჩამოგიტანო?
— რა ვქნა, შვილო, ვაგონში რომ არ გავყინულიყავი, სულ მე დავლიე.

საფოსტო ამოცანა

ანშეტის საფოსტო განყოფილების შოფერი აპოლონ გოჩია-შვილი ფოსტის მოტანას აგვიანებს და მანქანას საკუთარი ჯიბის გასასაქელებლად იყენებს.

ნახ. ა. კანდელაკისა

გ. შ.



ამ სურათში შოფერთან მჯდომ ხალტურის მგზავრს მოხალღონელი წვიმისაგან სახურავი იფარავს. მანქანაზე დაყრილ სიმინდს იფარავს გაზეთები. ამოცანა გვეკითხება: ვინ იფარავს შოფერს?

თბილისში, „ავტოტრანსის“ სადგურის წინ, „გვემსახურებო“

ფუსფუსია. თბილის-ფასანაურის მარშრუტით განკუთვნილი მანქანა მგზავრებით დაიტვირთა. სამი მგზავრი აკლია მხოლოდ და უბილეთოები შურით შეჰყურებენ თავისუფალ ადგილებს.

— დამსვი,—მიმართავს ერთი მგზავრი შოფერს და თვალის ჩაკვრის შემდეგ ცარიელ ადგილზე მიუთითებს.

შოფერი ცალი ხელის ხუთივე თითს გაშლის, მეორე ხელზე დააპარტყუნებს და მგზავრს ეუბნება:

— მე მაგის ნება ვინ მომცა!

მგზავრი გამოუცდელია და ვერ ხვდება შოფერის გაშლილი ხუთი თითის საიდუმლოებას. სამადგილთავისუფალი მანქანა ამოიოხრებს და სტოვებს თბილისს.

საბურთალოს ბოლოში მგზავრების დიდი ჯგუფი უცდის მომავალ მანქანას. ხელს ასწევენ, შოფერი ხათრიანია, უარს ვერ ეუბნება გაჩერებაზე.

— სამი, მხოლოდ სამი კაცი!—ბრძანებს შოფერი.

მგზავრები მანქანას მიაწყდებიან. სამმა ყველაზე იღბლიანმა როგორც იყო მოასწრო და სკამებშუა შერგო თავი. ორმა მათგანმა ადგილიც იშოვნა. მესამეს კი, საცოდავ დედაბერს, მოპირდაპირე მხრიდან ვლაცამ შეასწრო და ადგილი დაიკავა. არაქათდაკარგული დედაბერი ერთ ახალგაზრდა გოგონას ჩაუჯდა კალთაში და რიხით განაცხადა:

— არაფერი არ ვიცი, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი!

— დედი, მუცელი ნუ ჩამინგრეი, რას შვრები!—უტევს გოგონა.

— ვა, რა იყო, ქაჯან, ორსულად ხომ არა ხარ?—ნაწყენი კილოთი ეკითხება დედაბერი.

ქალიშვილი თავილობს და დედაბერს უკადრისი სიტყვების ციცხლს დაუშენს.

— ვა, რა მწარე ვინმე ყოფილხარ!—ტუქსავს გოგონას შოფერი,—მაშ ბებრის მდგომარეობაში არ უნდა შეხვიდე? ეგრე დიდი გულით რომა ხარ, განა მამაშენის ურემია! კეკვიანად, თორემ განა შენი ბილეთისა მეშინიან, ახლავე ძირს გადაგიძახებ.

შეშინებული ქალიშვილი უხმოდ აცხადებს მორჩილებას. დარჩენილი მგზავრები კი აყაყანდებიან:

— ჩვენ რაღა დავაშავეთ, ჩვენც მოგვათავსე!

ხათრიანი შოფერი შევიწროვების ათწუთეულს ატარებს. რამდენიმე კაცს მგზავრთა მუხლებზე ათავსებს და ბოლოს ერთი საკვანტავი საქმე უჩნდება:

— ამ თიკანს აქ ხომ არ დავტოვებ, ფული მიმიცია,—ამბობს ერთი ახალი მგზავრი.

შოფერი თიკანისათვის ადგილს ეძებს. ერთ რიგში ზის წვერიანი, ვეებერთელა კაცი, ისეთი ზორბა, ხორთუმი რომ ხელს უწყობდეს, სპილო გვეგონებათ, შოფერი ამას მიადგება:

— შენ, ხაზინ, ოთხი კაცის ადგილი რომ დავიკვირია, ცოტა გაიწ-გამოიწი, რომელი წითელი კოჭი ხარ!

ვეებერთელა კაცი ხენვით მიჯეჯგვავს მგზავრებს ერთ მხარეზე, მანქანის მეორე მხარეს კი, კედლისაკენ, თიკანს ჩაუსვამენ. მანქანა დაიძვრის. გულმოსული მგზავრები ერთიმეორეს უბღვერიან, თიკანი კი საამურად აცანცარებს წვერს.

— აბა, ფული მოკრიფეთ!—იძახის შოფერი და თვითთული დამატებითი მგზავრი ხუთთუმნიანს სწირავს. თიკანს კი, როგორც უწლოვანს, სამთუმნიან „ბილეთს“ უღებს პატრონი.

შოფერწახალისებული მანქანა კი მიჰქრის თბილისიდან შორს, ძალიან შორს, მაგრამ შოფერზე შორს კი აბა როგორ წავა!

1. სახადილოს გამგედ გახდომამდე

2. სახადილოს გამგედ გახდომის შემდეგ



იყო — გრაბი

გახდა — გონა*)

*) მიტომ ჰქვია გრაბიგონა

ნახ. დონისა

— ახლა თქვენ ნახავთ ქვეყნად ყველაზე საინტერესო კროსს: ბნელ ღამეში ორი ადამიანის სირბილში შეჯიბრებას.— ეშმაკური ღიმილით გადმოძიწურჩულა ერთმა ჩემმა თანამგზავრმა, როცა მატარებელი სტალინის მიუახლოვდა.

მე გაკვირვებით გადავხედე. ჩემმა თანამგზავრმა აღარაფრის თქმა არ დამაცალა:

— ეს ორი კაცი სტალინის პედინსტიტუტის ლექტორები გახლავთ. ინსტიტუტთან ახლოს მაგათ საერთო საცხოვრებელი აქვთ, მაგრამ საერთო საცხოვრებელში ლოგინები საკმარისი არა აქვთ. ხომ ხედავთ როგორ ემზადებიან.

ჩვენს კუბეში მყოფი ორი შუახნის კაცი მართლაც გაფაციცებით ემზადებოდა, შარვალი აიკეცეს, ჩემოდნები ხელში მოიმარჯვეს და მიაყვინა თუ არა ორ-თქლმავალმა სადგურს, წამოდგნენ.

— მუდამ ასეთი ამბავია,— განაგრძო ჩურჩულით ჩემმა თანამგზავრმა,— მატარებელს გაჩერებას აღარც კი აცლიან, გადახტებიან ხოლმე და გარბიან. მისწრებაზეა საქმე.

— მაგრამ ხომ შეუძლიათ სასტუმროში მისვლა?— ვიკითხე გაკვირვებულმა. ჩემს თანამგზავრს გაეცინა:

— ეტყობა პირველად ბრძანდებით სტალინის რეზიდენციაში...

მატარებელი უკვე გაჩერდა და ჩვენც ჩამოსასვლელად მოვემზადეთ. უკუნეთი ღამე იყო.

— ფრთხილად, სადგური ჩაბნელებულია.— გააფრთხილა ჩემმა თანამგზავრმა.— ვერ იქნა, ვერ მოახერხეს, რომ ერთი-ორი ნათურა მაინც გაეკეთებინათ.

მალე მართლაც მოწმე გავხდი საინტერესო კროსისა. გამწარებით გარბოდა ორი კაცი. ერთს უცებ ქული დაუფარდა, მაგრამ უკანაც არ მოუხვდია.

— ვერ გამასწრებ, ვერა! მე ვარ პირველი.— ყვიროდა უკვე ჩამორჩენილი ლექტორი და ქოშინით თანდათან ანელებდა სირბილს.

— აღარ შემძლია, დავიქანცე. სულ მუშაიმ უნდა მიმასწროს იმ უსინდისომ. — მოგვმართა „დამარცხებულმა“ ლექტორმა.

* * *

ღამის წყვედიანში პირქუშად გამოიყურება მრისხანე ციხე-კოშკით ამართული სტალინის მრავალთახიანი სასტუმრო. მეორე სართულის ერთ-ერთი სარკმელიდან სუსტად გამოკრთის მორცხვად მბუჭტავი სინათლე.

— რამ დააძინა ეს ხალხი ასე ადრე, ჯერ ხომ მხოლოდ ცხრა საათია.— გავიფიქრე მე და კიბეზე ფეხი შევდგი.

— ადგილები არა გვაქვს.— ასეთი იყო სასტუმროს თანამშრომლის პირველი პასუხი. არა, პასუხი კი არა, პირველი წინადადება, რადგანაც მან დაპასურა და ვიდრე რამეს შევეკითხებოდი, სხაპა-სხუპით მომხალა გაზეპირებული ფრაზა.

აბა, თქვენ თვითონ წარმოდგინეთ ხუუსათიანი მგზავრობის შემდეგ სიბნელეში, წელამდე ლაფში 1 კილომეტრი გზის გავლა, თან ნოემბრის ცივი წვიმა და ნესტიანი ქარი. როგორც იყო გაიკვლიეთ გზა თავშესაფარისკენ, შეხვედით შიგ, თავისუფლად ამოისუნთქეთ და ახლა ისევ კარებისაკენ მიგიითებენ.

— გთხოვთ ახლავე გამონახოთ თავისუფალი ლოგინი და მომასვენოთ.— მტკიცე ხმით მივმართე სასტუმროს თანამშრომელს.

— რა გქნა, თქვენ გენაცვალეთ, სად გამოვანხო თავისუფალი ოთახი?— თავის ფხანით სთქვა სასტუმროს თანამშრომელმა— აი, ხომ ხედავ, ამ ამხანაგებ საც უარი გუთხარი.— მხოლოდ მაშინ შევნიშნე კედელთან აყუდებული ორიოდე კაცი. ეტყობოდა, ისინი უკვე სთვლემდნენ.

მაგრამ ამ დროს მეორე სართულიდან დამლაგებელი ქალი ჩამოვიდა. მან თვალი მოჰკრა ჩემს მივლინების ქალაღზე გამოხატულ ნიანგის ჩანგალს და სასტუმროს თანამშრომელს ყურში რაღაც წასჩურჩულა.

— ...მაგრამ რა გზა მაქვს, დაღლილი ბრძანდებით, მოსვენება გესაჭიროებათ.— შეწყვეტილი ფიქრით განაგრძო სასტუმროს თანამშრომელმა.— ანიკო, აიყვანე ეს ამხანაგი ოცდახუთში და კარგად მოასვენე.

მე მაღლობა მოვანსენე მას და მეორე სართულზე ასასვლელად მოვტრიალდი. ამ დროს კარები გაიღო და ჩემი ნაცნობი ლექტორი შემოვარდა.

— არიქა, იქნებ ერთი ადგილი მომიხერხოთ,— ქოშინით მიმართა მან სასტუმროს თანამშრომელს და თავისი პასპორტი მიაწოდა.— ჩქარა, თორემ ის აკაც მომასწრებს.— მე ვთხოვე სასტუმროს თანამშრომელს ლექტორიც ჩემს ოთახში მოეთავსებია.


— ჩვენს საერთო საცხოვრებელში ადგილი აღარ იყო და აქვთკენ გამოვარდი, საცაა ჩემი მეტოქე ლექტორიც მოვა...

კარებთან დაველოდეთ დამლაგებელ ქალს, რომელიც ლოგინების გასაშლელად შევიდა № 25 ოთახში. დერეფანში მკრთალი სინათლე იყო: შეიძლებოდა კაცის გარჩევა. რამდენიმე წუთის შემდეგ დამლაგებელი ქალი გამოვიდა და ხელის ცეცებით თითოეული ცალ-ცალკე მიჰიყვანა ლოგინებთან.

— ნათურები არა გვაქვს,— ჩვეულებრივად თვითონ მოაქვთ ხოლმე სტუმრებს ნათურები. ან კი რა საჭიროა, სიბნელეში უფრო კარგად დაიძინებთ... არ გგონოთ სხვა რომელიმე ოთახში ენთოს,— თავი იმართლა დამლაგებელმა ქალმა.

— რა თქმა უნდა, საჭირო არ არის ნათურები, სჯობს დილამდე არ დავინახოთ ჭუჭყიანი ზეწრები.— მცოდნე კაცის კილოთი სთქვა ნაცნობმა ლექტორმა და სიტყვა არც კი გაეთავებია, რომ ხვრინვა ამოუშვა.

ძილში მან რამდენჯერმე წამოიძახა:— ვერა, ვერ გამასწრებ!— ეტყობოდა ძილშიც არ ასვენებდა იმ ლექტორის აჩრდილი, რომელიც იმ წუთში შემოსასვლელთან იდგა და კედელთან აყუდებული სთვლემდა.



— ეს რას გავს, ხომ გაგაფრთხილეთ საწვავის ეკონომია გასწიეთ-მეთქი, აბანო ისე გავითბიათ, რომ ორთქლი გამოდის. — საწვავს ვზოგავთ, მაგრამ მოხანავეებს სუნთქვას ხომ ვერ ავუკრძალავთ!

დავკიანებუდი სინანული

ნახ. ე. ლალისა



— უცნაური ხასიათის გამოდგა ჩემი ქმარი: დღევანდელ მონებულს სვალ თვითონვე უარპყოვს. — მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა კრიტიკოსის ცოლობა გადასწყვიტე.




გოჩა-ჯიხაიშის სასოფლო საბჭოს წინ ბოგირი დანგრეულია.

სოფელ საბერიოს (გალის რაიონი) კოლმეურნეობის მარეშე მარეშე თ. მიქაიამ კოლმეურნეობის სამი კერატი გაუქმდა და აღიქმული თანხა 18.000 მანეთი მიითვისა.

ნახ. ღონისა

კი-კო

კიკო



— ძალიან დახმარება გავვიწია დღეს ჩვენმა საბჭოს თავმჯდომარემ.

— ბოგირის შეკეთებას შეუდგა?

— არა, ბოგირში ჩავარდნილი ურემი ამოგვათრევინა.

— ძალიან იმარჯვა ჩვენმა ფერმის გამგემ, დიდებულად დაასუქა კერატები.

— კერატემატ ძალიან იმარჯვეს, ჩვენი თავმჯდომარე ერთიორად გაასუქეს.

ბარათები ნიანგს

პატივცემულო ნიანგო!

ძმაო ნიანგო!

სოფელ ოქტომბრის (ყვარლის რაიონი) მცხოვრებლებს საკმაოდ მოზრდილი კლუბი გვაქვს, მაგრამ ეს კლუბი თავისთვის არის და მცხოვრებნი—თავისთვის. საქმე ისაა, რომ კლუბს ყველა ფანჯარა ჩამტვრეული აქვს და შიგ ქარი ისე დაჰქრის, თითქოს კლუბი მისი საკუთრება იყოს. კლუბში ყოველგვარი საწყრეო მუშაობა ჩაშლილია, რადგან ოქტომბრელები სითბოსმოყვარული ხალხია და გვერდების გაყინვას გაუტრბიან. კლუბის გამგემ რ. დალაქიშვილმა მუშაობის გამოსაცოცხლებლად ასეთ ხერხს მიმართა: ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა წრე. მოცეკვავეთა წრის წევრებს, რომლებიც ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლებიან, ახტუნავენ დალაქიშვილი, ოფლსა ჰვერის და სიცივეს ადვილად ატანებენ.

ეს იმდენად საკვირველი არ არის. დალაქიშვილმა უკანასკნელ ხანს გადასწყვიტა ჩამოაყალიბოს მომღერალთა წრე და მოხალისე წევრთა კანდიდატებს დაეძებს. იზოვნის თუ არა დალაქიშვილი მოხალისეებს, ეს ჯერ არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვაინტერესებს, აზნანგო ნიანგო, დალაქიშვილს, ჩვენი კლუბის შემხედვარეს, რა ემღერება?

ოქტომბრელი

სოფელ ენისელში (ყვარლის რაიონი) გვაქვს საღამოს სკოლა. აქაურ ახალგაზრდებს ძალიან გაეხარდათ სასწავლო წლის დადგომა და მასობრივად შევიდნენ სკოლაში. სკოლის მასწავლებლებს ამაყათ ეკირათ თავი და გაიძახოდნენ: „ხუმრობა ხომ არ არის, სოფელში განათლება შეგვაქვსო“. მაგრამ როცა ახალგაზრდები სკოლაში შეიკრიბნენ, გამოირკვა, რომ დირექციას არცერთი სანათი არ გააჩნდა. რაკი ბნელში მეცადინობა შეუძლებელი გახდა, მოსწავლეები დაიშალნენ და სკოლაში სწავლა ჯერაც არ დაწყებულა.

ასე და ამგვარად, ძმაო ნიანგო, ჩვენი სკოლის მესვეურებმა არა თუ განათლების, სკოლაში განათების შეტანაც ვერ მოახერხეს. გვიშველე რამე, ძმაო ნიანგო!

ენისლელი

პატივცემულო ნიანგო!

ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლების ბავშვებს ერთი შესანიშნავი სასადილო გვაქვს. შესანიშნავი იმით არის, რომ გვაკლია თევზები და კოვზები. ხშირად ნახევარ საათს მაინც ვუცდით თევზ-კოვზის განთავისუფლებას და როდესაც ამის გამო საყვედურს გამოვთქვამთ, უფროსები გვეუბნებიან: „თქვენ რა გიჭირთ, დამჯდარი მაინც უცდით საქმელს. ბორჯომის რუსულ საბავშვო სკოლაში მერხები აკლიათ და მოსწავლეები რიგრიგობით სხდებიანო“.

პატივცემულო ნიანგო! მართალია, ჩვენს უფროსებზე უფრო ნაკლები ხნისა ვართ, მაგრამ ერთი რამ მაინც ვიცით: ფეხმთელ კაცს კოჭლის ჯიბრით საკუთარი ფეხი არასოდეს მოუტეხია. შეიძლება გავიკვირდეთ და მოგვიგოთ: „არც თქვენი დირექცია ყოფილა ფეხმთელიო“, მაგრამ ჩვენ, მოსწავლეები, რა შუაში ვართ?!

დ. ვ-ლი

ძმაო ნიანგო!

საკრამულელებს (დუშეთის რაიონი) გაზაფხულზე გაგვიხსნეს ერთი კოხტა კოოპმალაზია. ისეთი ლამაზი იყო ეს მალაზია, ისეთი ლამაზი, რომ მის წინ შეკრებილი მოსახლეობა თვალს ვერ აცილებდა. მაგრამ სულ მოკლე ხანში ჩვენი თვალთახედვა რაიონისკენ მიმავალმა გზამ გაიტაცა, რადგან ამ მალაზიაში გასასყიდად გათვალისწინებული პური მკადიჯვრის მალაზიამ წაიღო. ერთხელ წაიღო, მეორედ, და ბოლოს ეს ამბავი ისე დაკანონდა, რომ ახლა პურის მისაღებად მკადიჯვარში დადევართ და რამდენიმე კილომეტრ გზას ტყუილ-უბრალოდ ვთელავთ.

გვიშველე, ძმაო ნიანგო, სხვისი უთავობის გამო ჩვენი ფეხები რატომ უნდა დაისაჯოს?!

საკრამულელი

წასრის (ჭიათურის რაიონი) კოლმეურნეობაში ღორის ნამატის მხოლოდ ნაწილი შეინარჩუნეს.

ფასანაურის ვეტპუნქტის შენობას სახურავი დახიანებული აქვს, ფანჯრის მინები ჩამტვრეულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა მერაბი

ნახ. ღონისა

გოჭიძე



— ღრუტუნია... ღრუტუნია... ჩემო ღრუტუნია... საიქიოს შენს დებსა და ძმებს უთხარი, ფერმის გამგის მარგალიტას წყალობით დედათქვენიც მალე თქვენთან მოვათქო...

— შიგნით შემოდი, ნიკორა, აქ გაგხინჯავ.
— რას ამბობ, მანდ უარესი წვიმაა და ეგ ქოლგა ორივეს რას გვეყოფა!

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

მუხრანის

ფელეტონისტს — გვატყობინებთ— „მუხრანელებს შესანიშნავი კლუბი გვექონდა, მაგრამ

ახლა ნახვა მომენატრა, ვთქვი: იქნება უფრო კარგი,— მაგრამ სჯობდა არ მენახა აღარაფრის არის მარგი. ვხედავ მხოლოდ კედლებია, არ აქვს კარი, არც ფანჯარა, სახურავიც მოუხდიათ...“

კლუბს რომ კარი არა აქვს, ეს ერთის მხრივ კარგია: მუხრანელთათვის კულტურის კარი დახშული არა ყოფილა, მაგრამ სახურავს რას ერჩიან კლუბის მესვეურები?

ძუთიანის

მის. ხაშელს—მოგვყავს ნაწყვეტი თქვენი ლექსი— დან:

„ღერმონტოვის ქუჩის ცენტრში, გახსნილია აქ ბაზარი. დიდიდან და ხალაომდე არის ერთი საქმე-ზარი, ათასნაირ საქონელით დგანან ფეხზე მოვაჭრენი,

თითონ გარჯა რომ არ უყვართ, ხხვისი შრომით გააქვთ დღენი!“

ნუ სწუხართ, ფეხზე მოვაჭრეებს ფეხზე გაჩერება დიდხანს არ მოუხდებათ, რადგან მალე ბაზრის დირექტორს დაჯდომა მოუწევს.

სიღნაღი

მერაბს—გვეწერო: „სახელგამის მიერ გამოცემული კედლის კალენდრის ოქტომბრის თვრამეტის ფურცელში სწერია, რომ ინგლისელი სატირიკოსი მწერალი ჯონათან სვიფტი დაიბადა 1667 წელს და გარდაიცვალა 1845 წ. “. თან გვევითნებით: „სვიფტმა ნუთუ მართლა 178 წელიწადს იცოცხლაო?“ არ დაიჯეროთ, კალენდარში მოყვანილი ცნობები სატირიკოსის ბიოგრაფიას შეეხება და აშკარა ხუმრობაა.

სამტრედიის

გურამს—საინტერესო ამბავს იწერებით სამტრედიის ბაზრის თანამშრომელთა შესახებ, მაგრამ ჟურნალში ვერ მოვათავსებთ, რადგან არ გვატყობინებთ, ბაზრის რომელმა თანამშრომელმა მოსტაცა დედალი დედაბერს.

თბილისი

მკვიდრს—სტუდენტალაქის სასადილოს შესახებ სწერო:

„ღმერთმა სულ დიდხანს გვაცოცხლოს ისევე ჩვენი ბუფეთიქი. გააძლე თუ კი გყავს ვინმე თავ და ფეხებ გასაფუჭი, განურჩევლად აძლევს კონკოლს ქალი იყოს თუნდ კაცია. რა უყოთ თუ მკმელს დასჭირდა კუჭნაწლავთ ამბუტაცია...“

„ლექსის“ ბოლოს გვატყობინებთ, რომ სამედიცინო ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი ყოფილხართ.

ერთი ისიც შეგვატყობინებთ, თუ კაცი ხართ, ენის დამახინჯებას რომელ კურსზე გასწავლიან?

სოფ. ლელვანის

ლელვანისბირებლს.—იწერებოთ: „ლელვანის (ორჯონიკიძის რაიონი) საკოლმეურნეო წისკვილში მენი-სქვილეები განუკითხავად ქურდობენ და მესაფუჭავებენ გულისწყრომას ასე უპასუხებენო:

„ვინც რა უნდა თქვასო, წისკვილმა კი ფუჭავსო.“

ორჯონიკიძის რაიპროკურორს გადაეცით, რომ ეს „ვინც რა უნდა თქვას“, მას არ ეხება.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1946 წ. 7/ХІІ ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. №28. გამოც. № 108 შვკ. № 1755. ტირ. 7500 უფ 11712



1. კობტად მორთული და მოკაზმული კატუშა პაემანზე გაეშურა. 2. ხის ძირში მყოფი სქელტუჩა მოუთმენლად ელოდა კატუშას მოხვლას. 3. რაღაც დაძახილზე მეგობრები ისე აენთენ, რომ თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდნენ. 4. და ოქტომბრის დიად ზეიმზე ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.